დასკვნა:**დ12.37220891**
თარიღი:**30/03/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა,

ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესისი დამტკიცების შესახებ.

კომისიამ აღნიშნა,რომ პროექტი განსაზღვრავს ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სახეებს,მათი დანიშვნის და გაცემის ადმინისტრირების ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს,ასევე სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის უფლებამოსილ უწყებას/სამსახურს.

პროექტით ითვალისწინებს რიგი პროგრამების და ქვეპროგრამების თვისობრივ გაუმჯობესებულ პუნქტებს დღეს მოქმედ წესთან შედარებით.

ასე მაგ: 2.მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ითვალისწინებს მედიკამენტების შესაძენად ერთჯერად ფინანსურ დახმარებას თანხის ჩარიცხვით ფარმაცევტულ დაწესებულებებში, რაც აუმჯობესებს ხარჯვის მიზნობრიობის კონტროლს. 2.მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ დახმარებას უნაღდო ანგარიშწორებით 200ლ ნაცვლად 250 ლ, რაც გარეკვეული შეღავათია ბენეფიციარის დახმარების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ დასამტკიცებლად შემოთავაზებული წესი ითვალისწინებს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ყველა ბავშვის დაფინანსებას. ამასთან, აღნიშნული ბავშვებზე განსაზღვრულია

გაიცეს ვაუჩერები, რომელთა გამოყენება ბენეფიციარებს შეეძლებათ ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში.

განხილვის შედეგად კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სამართლებრივი აქტის პროექტი საკრებულოს წარედგინოს განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი